

ინფორმაცია
საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილის
დევი ვეფხვამის ქ. ისლამაბადში (პაკისტანი) გამართულ
ASOSAI-ს XI ასამბლეასა და მე-4 სიმპოზიუმში
მონაწილეობის შესახებ

ASOSAI-ს XI ასამბლეა გაიმართა 2009 წლის 12-15 ოქტომბერს, პაკისტანში, ქ. ისლამაბადში.

ასამბლეაში 45 წევრი-ქვეყნიდან მონაწილეობა მიიღო 32-მა. დამკვირვებლის სტატუსით ესწრებოდნენ INTOSAI-ს გენერალური მდივანი, ავსტრიის აუდიტორული სასამართლოს პრეზიდენტი ჯოზეფ მოზერი და INTOSAI-ს განვითარების ინიციატივის (IDI) წარმომადგენელი ელსე კარინ კრისტენსენი, პროგრამების ხელმძღვანელი.

12 ოქტომბერს ასამბლეის 1-ლი პლენარული სხდომა გახსნა პაკისტანის გენერალურმა აუდიტორმა ტანვირ ალი აღამ. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვეს INTOSAI-ს გენერალურმა მდივანმა ჯოსეფ მოზერმა და ASOSAI-ს თავმჯდომარემ, ჩინეთის უმაღლესი აუდიტორული ორგანოს პრეზიდენტმა, ლიუ ჯიამ. თავმჯდომარის მისალმების შემდეგ გენერალურმა მდივანმა წარადგინა მონაწილე დელეგატები და დამკვირვებლები.

ასამბლეას წარედგინა გენერალური მდივნის ანგარიში, აგრეთვე:

- გენერალური მდივნის მიერ ASOSAI-ს 2006-08 ფინანსური წლების ანგარიში;
- აუდიტის კომიტეტის ანგარიში (ანგარიში წარადგინა მონღოლეთის უმაღლესმა აუდიტორულმა ორგანომ).

გენერალურმა მდივანმა - ინდოეთის გენერალურმა აუდიტორმა და კომპროლერმა, ვინოდ რაიმ წარმოადგინა ASOSAI-ს სტრატეგიული გეგმა.

სასწავლო ადმინისტრატორმა (იაპონიის უმაღლესი აუდიტორული ორგანო) ისაუბრა ASOSAI-ს სასწავლო ღონისძიებების შესახებ.

INTOSAI-ს განვითარების ინიციატივის წარმომადგენელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ანგარიში INTOSAI-ს განვითარების ინიციატივის საქმიანობის შესახებ.

ინდოეთის უმაღლესმა აუდიტორულმა ორგანომ წარმოადგინა ანგარიში ASOSAI-ს მე-8 კვლევით პროექტზე, ასევე ანგარიში ASOSAI-ს ჟურნალისა და ვებგვერდის შესახებ.

საუდის არაბეთის უმაღლესმა აუდიტორულმა ორგანომ წარმოადგინა INTOSAI-ს საფინანსო-ადმინისტრაციული კომიტეტის ანგარიში.

ინდოეთის უმაღლესმა აუდიტორულმა ორგანომ წარმოადგინა ცოდნის გაზიარების კომიტეტის ანგარიში. შემდგომ გამოაცხადა მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებები:

ახალი თავმჯდომარე - პაკისტანი;

მომდევნო ასამბლეის მასპინძელი - ინდოეთი;

ახალი გენერალური მდივანი - სამხრეთ კორეა.

ასევე, მმართველი საბჭოს დანიშნული 5 წევრი:

1. იაპონია- როგორც სწავლების ადმინისტრატორი, პროფესიული დამსახურების გამო;
2. პაკისტანი - როგორც ახალი თავმჯდომარე;
3. ჩინეთი - როგორც წინა თავმჯდომარე;
4. ინდოეთი - როგორც მომდევნო ასამბლეის მასპინძელი;
5. სამხრეთ კორეა - როგორც ახალი გენერალური მდივანი.

14 ოქტომბერს გაიმართა რიგით მე-4 სიმპოზიუმი, რომელიც მიეძღვნა შემდეგ თემას:

„უმაღლეს აუდიტორულ ორგანოთა როლი სახელმწიფო დანახარჯების ეფექტიანობის ზრდაში“.

მოხსენებები წარმოადგინეს შრილანკის, ვიეტნამის, ყაზახეთის, ბუტანის, მალაიზიის, პაკისტანისა და რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა აუდიტორულმა ორგანოებმა.

15 ოქტომბერს შედგა მე-2 პლენარული სხდომა, რომელზეც წარმოადგინეს შემდეგი საკითხები: თავმჯდომარემ - პაკისტანის გენერალურმა აუდიტორმა, წარმოადგინა ASOSAI-ს მე-4 სიმპოზიუმის ანგარიში, გენერალურმა მდივანმა - სამხრეთ კორეიდან, გააკეთა 2009-2011 წლების ბიუჯეტის პრეზენტაცია, ხოლო ჩინეთის უმაღლესმა აუდიტორულმა ორგანომ წარადგინა ASOSAI-ს გარემოს დაცვის სამუშაო ჯგუფის მოხსენება.

აირჩიეს მმართველი საბჭოს 6 და აუდიტის კომიტეტის 2 წევრი:

მმართველი საბჭო: ბანგლადეში (30 ხმა)

ინდონეზია (31 ხმა)

ერაყი (26 ხმა)

თურქეთი (29 ხმა)

კუვეიტი (32 ხმა)

ვიეტნამი (28 ხმა)

აუდიტის კომიტეტი: საუდის არაბეთი (24 ხმა)

მონღოლეთი (23 ხმა)

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა მომდევნო, 2012 წლის ასამბლეის მასპინძელი ქვეყნის, ინდოეთის წარმომადგენელმა, ასევე, ახალმა გენერალურმა მდივანმა, სამხრეთ კორეიდან. საბოლოო სიტყვით გამოვიდა ASOSAI-ს თავმჯდომარე, პაკისტანის გენერალური აუდიტორი - ტანვირ ალი ალა.